ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 02-00/01

08 02 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-00/01

„ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ" რექტორის 2014 წლის 16 იანვრის № 02-02-04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ" რექტორის 2014 წლის 16 იანვრის № 02-02-04 ბრძანებაში და ბრძანების 2.1. და 2.2. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2.1. მსურველთა განცხადებების (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლითურთ) მიღება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხების მართვის სამსახურში - 2014 წლის 27 იანვარი - 12 თებერვალი;

   2.2. კრედიტების აღიარება მიმღები სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ - 13 - 15 თებერვალი";

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;
4. ბრძანების ასლი გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე